პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 თებერვალი ოთხშაბათი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 45 (15258)



ჩვენი ენერგია საძმოებლოს იუბილეს

СССР

50

ძმური ოჯახში

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი საქართველოს მუშათა კლასის მხარდამხარ გაცხოველებით ემზადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის. ხუთწლედის მეორე წლის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, საწარმოს კოლექტივმა გაითვალისწინა დიდი საიუბილეო თარიღი და ვალდებულების ერთ-ერთ მუხლში ჩაწერა, რომ მიმდინარე წლის გეგმას 25 დეკემბრისათვის შესრულებს და თვის ბოლომდე, იუბილეს აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით ათეული ათასობით მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

გუშინ პრესაში გულდასმით წავიკითხეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ.

პირადად მე და ქარხნის ყველა მშრომელს გვახარებს ჩვენი და მოძმე რესპუბლიკების მიღწევები და ახალი შრომითი საქმეებისათვის აღგვაფრთოვანებს. შარშან ერთ-ერთი პირველი გამოვეხმაურე თბილისელი მრთველის მზია არათანშვილის ინიციატივას. ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულების შესახებ. მას, შემდეგ კარგა ხანი გავიდა, დაპირებას გადაკარბებით ვასრულებ.

გადავხედე ჩემს შესაძლებლობებს და ამ დიდი იუბილეს აღსანიშნავად გადავწყვიტე წლიური გეგმა პირველი ნოემბრისათვის შევასრულო და ჩემი ღირსეული წვლილი შევიტანო საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ვ. დოლიძე,
ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის ნოვატორი ხარატი.

შრომით, საქმით

ჩვენი კოლმეურნეები გულდასმით იცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადების შესახებ. ეს დადგენილება ერთ-ერთი დიდი დოკუმენტია, რომელშიც ნათლად არის ასახული ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მიერ ბრძოლითა და შრომით განვლილი წლების სიდიადე. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი ჩვენი მრავალეროვანი ხალხის დიადი დღესასწაულია და მას საბჭოთა მშრომელები ახალ-ახალი წარმატებებით შეეგებებიან.

ამას წინათ ჩვენი კოლმეურნეობის საინგარიშო-საანრჩევნო კრებაზე ახალი ხუთწლედის მეორე წლისათვის გადადებული ვალდებულებანი ვიკისრეთ. ჩვენი ვალდებულებანი პრესაში დაიბეჭდა, და მე თანასოფელელ კოლმეურნეთა საზელით პირობა უნდა მივცე ჩვენს პარტიას, სამშობლოს, ხალხს, რომ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს გადამეტებით შევასრულებთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს წინადღეებში.

გარდა ამისა, ჩვენ სხვა ვალდებულებებსაც კისრულობთ. ამ დიადი დღესასწაულისათვის სოფელი ველისციხე უფრო კეთილმოწყობილი გახდება; დიად თარიღს მიეგებენ კრებებს, საღამო-წარმოდგენებს, მოვაწყობთ მეგობრობის დილას, უფრო ახლო ურთიერთობას დავამყარებთ მოძმე რესპუბლიკების სოფლის მშრომელებთან, გავეცნობთ მათს შრომითს საქმიანობას, ჩვენთან მოვიწვევთ და ვიჩვენებთ, თუ რას მივაღწიეთ მეგობრობით, შრომით, საქმისადმი სიყვარულით, რით ეხვდებით ამ დიად დღესასწაულს.

დ. მამისაშვილი.
გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

საბჭოთა კინოხელოვნების დათვალიერება

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი გაიხსნა

თბილისში ღამის ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავების შეიმატნენ... საბჭოთა კინოს ვარსკვლავები. ისინი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ თბილისში. მართალია, საქართველოსათვის უმეტესო სუსხიანმა თებერვალმა შებოჭა ქალაქი, რომელიც თავის ტაბრნის შუდამ სითბოთი და მზით ეგებება ხოლმე, მაგრამ კინოვარსკვლავთა სიუხვემ იმდენი სიხარული და სითბო მოუტანეს საქართველოს დედაქალაქს, რომ, ეტყობა, ზამთარი იძულებული გახდება დაპყროს ფარ-შმალი.

კინო... ყველაზე ახალგაზრდა მუზაა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, უკვე ყველაზე საყვარელი და პატივსაცემი. მართლაც უნდა იცნობდეთ ტემპერამენტიან თბილისელ კინომაყურებლებს, რომ არ გაგაოცოთ მათმა მოზღვავებამ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზთან, სადაც 22 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნა V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი.

საკონცერტო დარბაზი სადღესასწაულოდაა მორთული. ყვავილებში ჩაფლული სცენის სიღრმეში მოჩანს V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის ემბლემა. სკენაზე ბრიან კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, მსატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების ჟიურების წევრები. ჩვენი ქვეყნის 39 კინოსტუდიიდან თვითეული მათგანი ამ შემოქმედებითს შეჯიბრებაზე წარმოდგენილია რეჟისორთა, ოპერატორთა, მსახიობთა, კინემატოგრაფისტთა კავშირების დელეგაციებით. აქვე ბრიან მოსკოველი, ლენინგრადელი სტუმრები, უცხოელ კინომუშაკთა დელეგაციების მეთაურები, ჩვენი ხალხის საყვარელი მსახიობები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები ს. ბონდარჩუკი, ვ. სანაევი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები ა. ლარიონოვი, ლ. ჩურსინა და ნ. რიბნიკოვი, ლატვიის სსრ სახალხო არტისტი გ. ციელინსკი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ს. ჭიაურელი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ველიჩკო, მსახიობები, ლ. სოკოლოვა, რ. მარკოვა, ახალგაზრდა კინომსახიობები ა. კავალეროვი, ე. კრუპინინოვა, ლ. ალეშნიკოვა და მრავალი სხვა.

— დღეს ჩვენ ამ შესანიშნავ დარბაზში ვხსნით V სრულიად საკავშირო კინოფესტივალს, — თქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოლოვნიამ. შემოქმედებითი დათვალიერებანი უკვე კარგა ხანია იქცა კარგ ტრადიციად ჩვენს ქვეყანაში. ისინი კიდევ უფრო აციცხლებენ მთელი კინემატოგრაფიის მუშაობას, ავითარებენ ნაყოფიერ შემოქმედებითს შეჯიბრებას, ხელს უწყობენ საქვეყნოდ აღიარებული საბჭოთა კინოს შემდგომ აღმავლობას. მაგრამ წინანდელთაგან განსხვავებით ახლანდელ კინოფესტივალს საზოგადოებრივობის სამსჯავროზე გამოაქვს მხოლოდ გასული, 1971 წლის ფილმები. ესენი ფორმითა და შინაარსით სულ სხვადასხვაგვარი ფილმებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ აქვთ ერთი ზოგადი, გამაერთიანებელი რამ — ეს არის იდეური მიმართულება, პარტიული მიზანსწრაფვა. ამ ფილმებში აღძრულია თანამედროვეობის მწვავე პრობლემები, შექმნილია საბჭოთა ადამიანების სახეები, გაშუქებულია მათი გმირული ყოველდღიური საქმიანობა, შემოქმედებითი ნიხარული და გამბრჯოლებანი. ჩვენ, თქვა მან, დარწმუნებული ვართ, რომ V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი იქნება საბჭოთა კინოხელოვნების დიდსული შემოქმედებითი ანგარიში სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ, ბრწყინვალედ დაადასტურებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას, ხელს შეუწყობს ეროვნულ კულტურათა შემდგომ დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სახელით ფესტივალის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ამ კავშირის გამგეობის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. სანაევი.

დაამტკიცეს ჟიურის შემადგენლობა. სრულმტრტარეან მსატვრულ სურათებს შეაფასებს ჟიური სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ბონდარჩუკის თავმჯდომარეობით, ქრონიკალურ-დოკუმენტალურ და მეცნიერულ-პოპულარულ ფილმებს — ჟიური სსრ კავშირის სახალხო არტისტის კინოდრამატურგ ბ. ასპოიანის ხელმძღვანელობით.

ს. ბონდარჩუკმა და გ. ასპოიანმა მეცრნელი წარუდგინეს ჟიურების წევრება.

გაიხსნა V ფესტივალის მეოდიდა — საზეიმოდ აღიმართა საბჭოთა კინოს V სრულიად საკავშირო დათვალიერების ალამი. ფესტივალის ალამს ამაყად ფიფქავს საბჭოთა უფლება მიენიჭოთ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ლ. ჩურსინას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ლ. აბაშიძეს, ლატვიის სსრ სახალხო არტისტს ბ. ციელინსკისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ო. ბიბლრიძეს.

ფესტივალის გახსნას ესწრებოდნენ ამხანაგები ბ. ჯაპარიძეები, ლ. ბოგიჩაშვილი, ო. ლოლაშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი და ჯ. პატარაშვილი.

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის საზეიმო გახსნისა და ალმის აღმართვის შემდეგ დაიწყო საკონკურსო ფილმების ჩვენება. მაყურებლებმა პირველად ნახეს რეჟისორ ი. ოზერეკის ხელმძღვანელობით გადაღებული კოლექტივის მიერ კინოსტუდია „მოსფილმში“ შექმნილი ეპოპეის „ვანთავიუფლების“ დამამთავრებელი სურათები — „ბრძოლა ბერლინისათვის“ და „უკანასკნელი შტურმი“.

საბჭოთა კინოხელოვნების დათვალიერება დაიწყო. (საქდესი).

ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე

გენერალ-პოლკოვნიკი პ. მელნიკოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

საბჭოთა ხალხისათვის, არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყოველი წლისთავი ამაღელვებელი, ღირსშესანიშნავი მოვლენაა. 54-ე წლისთავს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებამ.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორია გმირობის, ხალხისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი უანგარო სამსახურის მარად ცოცხალი მაგალითია. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა დასაცავად შექმნილმა საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გმირული, სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ უსასტიკეს ბრძოლებში მათ ღირსეულად გამოაჩინეს თავიანთი საბრძოლო დროშები, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

შეიარაღებული ძალების მშენებლობა განუყოფელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან.

ოქტომბრის გამარჯვებამ გამოიწვია საშინაო და საერთაშორისო კონტრრევოლუციის გაფთრება, რომელმაც მოაწყო თოთხმეტი სახელმწიფოს ლაშქრობა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანას სასიკვდილო საფრთხე შეექმნა. საბჭოთა რესპუბლიკა ფრონტების ცეცხლის რკალში აღმოჩნდა.

ამისათვის, რომ გაემარჯვა ამ ბრძოლაში, პროლეტარული სახელმწიფოსათვის საჭირო იყო მასობრივი, კარგად ორგანიზებული, რევოლუციის საჭმის ერთგული არმია.

1918 წლის 21 თებერვალს იმ პირობებში, როცა კაიზერის გერმანიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე და უმუალოდ საფრთხეს უქმნიდნენ პეტროგრადსა და ქვეყნის სხვა ცენტრებს, პარტიისა და პირადად ვ. ი. ლენინის ინიციატივით სასაღსო კომისართა საბჭომ ხალხს მიმართა ისტორიული მოწოდება — დეკრეტით: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“, მოუწოდა მშრომელებს მკერდით დაეცვათ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ აამოძრავა ხალხის უფართოესი მასები. დაიწყო მოხალისეთა შეგროვება მუშურ-გლეხურ არმიაში. 23 თებერვალს პეტროგრადში მოეწყო „სოციალისტური სამშობლოს დაცვის დღე“. ქალაქის მშრომელები გამოვიდნენ თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობაზე, საწარმოებში იქმნებოდა შეიარაღებული რაზმები. წითელი არმიის ახალგაზრდა ნაწილები იქმნებოდა აგრეთვე მოსკოვში, კიევში, ივანოვო-ვოზნესენსკში, იაროსლავლში, მინსკში, სხვა ქალაქებში და მაშინვე იგზავნებოდა ფრონტზე.

საბჭოების რესპუბლიკის მუშებმა და გლეხებმა საკმით ცხადყვეს, რომ არათუ უნარი შესწევთ ხელში აიღონ ძალაუფლება, არამედ დაიცვან კიდეც პროლეტარული რევოლუციის მოსაპოვარნი. ნაჩქარევად შექმნილმა, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთებითა და თავიანთი საქმის სისწორის რწმენით ძლიერმა საბჭოთა არმიის რაზმებმა ფსკოვთან და ნარვასთან საკადრისი პასუხი გასცეს გერმანიის ჯარებს.

გერმანელ დამპრობლებზე პირველი გამარჯვების აღსანიშნავად 23 თებერვალს ყოველწლიურად ვდღესასწაულობთ, როგორც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა მოასწავებდა დიდმნიშვნელოვან ეტაპს ქვეყნის ცხოვრებაში და ამავე დროს დასაბამი მისცა ახალ ერას სამხედრო ისტორიაში. პირველად შეიქმნა არმია, რომელიც ძირფუძვიანად განსხვავდებოდა ექსპლოატატორული სახელმწიფოების ყველა სამხედრო ორგანიზაციისაგან, სოციალისტური სახელმწიფოს არმია, შეშმარიტად სახალხო არმია, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, უძლეველი და დაუშრეტელი მორალურ-პოლიტიკური და სულიერი ძალების არმია.

კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელის თეთრგვარდიელთა ურდოების, თეთრპოლონელთა არმიების, ამერიკელი, ინგლისელი, გერმანელი, იაპონელი და სხვა ინტერვენტების ჯარების განადგურება — ყოველივე ეს წითელი არმიის მიერ სამოქალაქო ომის წლებში განვლილი დიდი გზის ეტაპებია. ამ ბრძოლებში წითელი პოლკელები და დივიზიები უჭკნობი დიდებით შეიმოსნენ. მათ მხედრულ მამაცობაზე, რაც გამოიჩინეს ცარიცინთან, ორიოლთან და კახოვკასთან, ვარშავასთან, პეტლიურა-პოლკებთან და სპასკთან, იქმნებოდა ლეგენდები, სიმღერები.

სამოქალაქო ომის მატიანეში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს მე-11 არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა. ასტრახანის ველებიდან არარატის მწვერვალებამდე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, გაიფთრეს ბრძოლებში ბაიარეს მათ, რათა ძმურად დახმარებოდნენ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმას, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ წითელი არმია გადაექციათ ძალად, რომელიც საიმედოდ დაიცავდა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს.

საბჭოთა ხალხს მშვიდობიანი შრომა შეაწყვეტინა გერმანელ-ფაშისტთა ურდოების ვერაგულმა შემოჭრამ ჩვენს ქვეყანაში. დაიწყო თავისი გაჟანებითა და გააცთრებით არნახული დიდი სამამულო ომი. ლენინური კომუნისტური პარტიის მოწოდებით ჩვენი მრავალეროვანი ხალხი, არმიისა და ფლოტის მეომრები, ყველა, როგორც ერთი, აღდგა მამულის დასაცავად. ეს იყო სოციალიზმის ყველაზე დიდი სამხედრო შეტაკება საერთაშორისო იმპერიალიზმის დამაკვრელ ძალებთან, ყველა ომიდან ყველაზე მძიმე და ყველაზე სასტიკი ომი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

ვაჟკაცობისა და მამაცობის უბადლო ნიმუშები უჩვენეს მთელ მსოფლიოს ბრესტის ციხე-სიმაგრის, პეტრემიშლის, ტალინის, მოგილიოვის, ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, ბელგოროდ-ხარკოვის, ბერლინის, ვენის, ბუდაპეშტის, ბრნოს, ალბერტ-ბოიანოს, ბელგრადის, ვარშავის, ბერლინ-ოდერ-ნეისეს, ბალტიკისა და ბარენცის ზღვებზე, ბალკანეთის, ბელორუსიის, ბალტიეთის, ბესარაბიის, ბალკარეთის, ბავარიის, ბალტიმორის, ბალეარეთის, ბალეარეთ-ბალეარეთ-ბალეარეთ-

ᲛᲘᲡᲘᲗᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

საბჭოთა კავშირის დელეგაცია სირიის არაბთა რესპუბლიკაში

დამასკო, 22 თებერვალი. (საკდესი). აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მყოფი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი გუშინ ეწვია სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს აბდელ რაჰმან პლეფაუს.

მეგობრული საუბრის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ამ თანამშრომლობის ნაყოფიერ შედეგებს და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების საქმეში.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მიიღო სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კ. ტ. მაზუროვს ჰაფეზ ასადთან ჰქონდა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირისა და სირიის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა სირიელი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმ დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც უწევს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში და ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის არაბულ სახელმწიფოთა ბრძოლაში.

დამასკო, 22 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დაიწყო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება. მოლაპარაკებაზე სირიის მხარეს მეთაურობს სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდელ რაჰმან პლეფაუი, საბჭოთა მხარეს — დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი.

ამერიკელ კომუნისტთა ყრილობაზე

ნიუ-იორკი. 21 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობას განაგრძობს შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XX ეროვნული ყრილობა. გუშინ პლენარულ სხდომაზე მოხსენება გააკეთა კომპარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰენრი უინსტონმა, რომელმაც მთავარი უურადღება დაუთმო ამერიკის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის იდეოლოგიურ პრობლემებს.

ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის თაობაზე და პარტიის ამოცანების შესახებ კომპარტიის ეროვნულური მდივნის გეს პოლის პოლიტიკური მოხსენების განხილვის გამო კამთში გამართული კომპარტიის საერთაშორისო საკითხთა მდივანი ჯიმს ჯექსონი განსაკუთრებით შეეხო მაოიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის საფრთხეს კომუნისტურ მოძრაობაშიც.

ილაპარაკა რა ამერიკის პრეზიდენტის რ. ნიქსონის გამგზავრებაზე პეკინში, ჯ. ჯექსონმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების მმართველი წრეების დაახლოება პეკინის ახლანდელ ხელმძღვანელობასთან ნაკარნახევია, უწინარეს ყოვლისა, მათი საერთო სიძულვილით საბჭოთა კავშირისადმი. მაოიზმი ცდილობს დაუპირისპირდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, თქვა ჯ. ჯექსონმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაოისტურ ფილოსოფიას საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან. იგი თავისებური გაერთიანებაა ტროცკიზმისა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან, ესე იგი ფაქტიურად გადაიქცა კონტრრევოლუციურ თეორიად, რომელიც აბრკოლებს მსოფლიო რევოლუციურ პროცესს.

ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს და დაამტკიცეს კომისიის მოხსენება პარტიის წესდების ცვლილების შესახებ. ხმის დიდი უმრავლესობით დელეგატებმა დაადგინეს, რომ პარტიის საერთო-ეროვნული ყრილობები გაიმართება სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიამ მოისმინა ინფორმაცია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან და წიგნის საერთაშორისო წელიწადში სსრ კავშირის მონაწილეობასთან დაკავშირებით ოონინძეკეთა მომზადების შესახებ, განიხილა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები და დაამტკიცა იუნესკოს გენერალურ კონფერენციის XVII სესიისათვის მზადების გეგმა. (საკდესი).

„ნიან ზანი“ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის წერილის შესახებ

ჰანოი, 22 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამელ გამოცდილება „ნიან ზანი“ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი ინდოჩინეთის ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის ვერსალის მსოფლიო ასპაზლეისადმი.

გაზეთმა წერილს წაუმძღვარა სათაური: „საბჭოთა კავშირი ხუთიათა და გულით უჭერს მხარს და ეხმარება ინდოჩინეთის ხალხთა სამართლიან ბრძოლას“.

ლონდონი

მოთავრობის პრესტიჟი დაეცა

22 თებერვალი. (საკდესი). მარცხმა, რომელიც მიუსახტებებმა აგიმეს კონსერვატიულ მთავრობას, და „ერთერთ ბაზარში“ ინგლისის შესვლის თაობაზე პარლამენტში შეტანილი კანონპროექტის მხოლოდ 8 ხმის უმრავლესობით მოწონების შედეგებმა იმედი გაუცრუეს კონსერვატიულ პარტიას, მკვეთრად დასცეს მთავრობის, და უწინარეს ყოვლისა პრემიერ-მინისტრ პიტის პრესტიჟი.

კონსერვატიული პარტიის რიგებში და თავის მომხრეთა შორის „რწმენის აღდგენის“ მიზნით პრემიერ-მინისტრი პიტი ემზადება უახლოეს დღეებში მიმართოს ინგლისელ ხალხს. როგორც აქ მიაჩნიათ, პიტი აპირებს განაცხადოს, რომ მეშახტეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება სრულიადაც არ ნიშნავს პრეციდენტს სხვა მუშებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან მოუშატონ ხელფასი ცხოვრების ღირებულების განუწყვეტელი ზრდის გამო.

ეს მოთხოვნები შრომის ანაზღაურების გადიდების შესახებ, უკვე წამოაყენა 2,5 მილიონმა მანქანათმშენებელმა, 300 ათასმა რკინიგზელმა, 350 ათასმა მედიცინის დამ, 400 ათასმა მასწავლებელმა, 350 ათასმა სასოფლო-სამეურნეო მუშამ, 180 ათასმა მბეჭდავმა და ინგლისელ მშრომელთა სხვა რაზმებმა.

მაგრამ კონსერვატორთა მთავრობა ეპირებს უარი უთხრას მშრომელთა მოთხოვნებს.

ᲒᲝᲜᲘ

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲐᲪᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

22 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ი. მასლოვი იუწყება:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ ასპარეზზე დიდი აქტიურობაა იმასთან დაკავშირებით, რომ 23-25 თებერვალს ბუნდესტაგში პირველი წაკითხვით უნდა განხილულ ნ ნ ა ნ ა ნ ა

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

მშვიდობის გურჯი

(დასასრული)

ოქტომბრის მონაპოვართა საფარაჯოზე

ნინგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის დამცველებმა. ბრძოლის ველებზე საბჭოთა მეომრებმა ცხადყვეს უმაგალითო მასობრივი გმირობა, განსაკუთრებული თავდადება, ჩინებული საბრძოლო ოსტატობა.

ფაშისტთა ჯარების დიდმა დამარცხებამ მოსკოვთან, რამაც საბოლოოდ დასასმარა „ელვისებური" ომის ჰიტლერული გეგმა, გააქარწყლა ყალბი ლეგენდა ფაშისტური არმიის უძლეველობის შესახებ, დასაბამი მისცა ძირეულ შემობრუნებას ომის მსვლელობაში.

1942-1943 წლების დამლევს ჩვენმა არმიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა სტალინგრადთან. ისტორიას არ ახსოვს გამოცდილი, ძლიერი და ვერაგი მტრის უსოდენ დიდი დაჯგუფების გარემოცვისა და განადგურების ასეთი მაგალითი. ჰიტლერულ ვერმახტს ისეთი ძალის ლახვარი ჩაეცა, რომელმაც შეარყია ფაშისტური ბლოკის მთელი შენობა.

სტალინგრადის ბრძოლასთან ერთად გაჩაღდა ბრძოლა კავკასიისათვის, რომელმაც 15 თვეს გასტანა. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა მოქანცეს, სისხლისაგან დაცალეს და გაანადგურეს ფაშისტური 700-ათასიანი გერმანულ-ფაშისტური დაჯგუფება. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ათასობით ამერკავკასიელი მეომარი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, 70 მათგანს კი მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. ამიერკავკასიის მშრომელებმა ფასდაუდებელი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწიეს წითელი არმიის ჯარებს. სანქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის კომუნისტთა ნახევარზე მეტი არმიაში ჩაეწერა.

1943 წლის ზაფხულში ჰიტლერულთა ჯარების განადგურებამ კურსკის რკალზე დაამთავრა ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში.

მასშტაბითა და ძლიერებით ჭეშმარიტად უმაგალითო იყო, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბოლო ოპერაციები 1944-1945 წლებში. ყველაზე გრანდიოზული იყო მათ შორის ბერლინის ოპერაცია, რომლის შედეგად მტერი საბოლოოდ გავანადგურეთ საკუთარ ბუნაგში.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირმა, რომელიც სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროებაზე ზრუნავდა და ერთგულად ასრულებდა თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს, დაიწყო ომი მილიტარისტულ იაპონიასთან. საბჭოთა ჯარებმა მოკლე ვადაში დაამარცხეს მილიონიანი კვანტუნის არმია და გადამწყვეტი დამსმარება გაუწიეს ჩინეთის, კორეისა და ვიეტნამის რევოლუციურ ძალებს განმთავისუფლებელ ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება სოციალიზმის, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე მკაფიო და დამჯერებელი დადასტურებაა. მან ცხადყო საბჭოთა საზოგადოების დიადი მორალურ-პოლიტიკური ძალა და სულიერი ერთიანობა.

ჩვენი გამარჯვების მთავარი წყარო იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელმაც დარაზმა, შთააგონა და იდეურად შეიარაღა საბჭოთა ხალხი მტერთან საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სამართლიანად ეწოდა მებრძოლი პარტია. ომის დასასრულისათვის პარტიის წევრთა 60 პროცენტი არმიისა და ფლოტის რიგებში იყო.

კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე მძლავრ არმიათა განადგურებამ ცხადყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების, მათი ორგანიზაციისა და შეიარაღების, მეთაურთა კადრების მოამზადების სისტემის, სამხედრო მეცნიერებისა და საბრძოლო მოქმედებათა წარმოების ხელოვნების უპირატესობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მკაფიოდ გამოვლინდა სხვადასხვა ეროვნების მეომართა მონოლითური მეგობრობა. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, თურქმენები და სხვები უანგაროდ იცავდნენ სამშობლოს.

მარტო საქართველომ ფრონტზე გაგზავნა თავისი 600 ათასზე მეტი შვილი. ათეულ ათასობით მათგანმა მამაცობისა და თავდადებისათვის მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა, ხოლო 137 საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. დიდი სამამულო ომის ისტორიის მატიანეში ოქრის ასოებით ჩაწერეს თავიანთი საგმირო საქმენი სერჟანტმა მ. ქანთარიამ, რომელმაც სერჟანტ მ. ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე, ზემდეგმა ნ. ადამიამ, მაიორმა ა. წურწუმიამ, ზემდეგმა ნ. გოგიჩაშვილმა, პოლიტსეკმა ვ. კანკავამ, ლეიტენანტმა ვ. ზოჩიევმა, მამაცმა კომკავშირელმა ზოია რუხაძემ, პოდპოლკოვნიკმა ნ. სტეპანიანმა, რიგითმა უ. ავეტისიანმა, წითელფლოტელმა გ. მამედოვმა, გენერალ-მაიორმა ა. ასლანოვმა და ამიერკავკასიის ხალხთა ბევრმა სხვა მამაცმა შვილმა.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა უწინდებურად ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაუცხრომლად განმტკიცონ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. სულ უფრო მწარდები აგრესიულობის პირობებში იმპერიალიზმი კიდევ უფრო მტაცებელი და ვერაგი გახდა. ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს დანაშაულებრივ ყაჩაღურ ომს ინდოჩინეთში. მოუგვარებელია მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ჯიუტად ახორციელებს ვითარების გამწვავების კურსს, კვლავ დაძაბულობაა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

ითვალისწინებენ რა რთულ საერთაშორისო ვითარებას, პარტია და მთავრობა ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შეინარჩუნონ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვა, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ყოველგვარი აგრესიის გადაჭრით და სრულ განადგურებას.

სოციალისტური ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევათა საფუძველზე კომუნისტურმა პარტიამ ძირეული გარდაქმნები მოახდინა სამხედრო საქმის ყველა დარგში. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ეკონომიური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს უახლესი იარაღით. კიდევ უფრო განვითარდნენ სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარები. თანამედროვე რაკეტების ძრავების სიმძლავრე მრავალ მილიონ ცხენის ძალას აღწევს.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახმელეთო ჯარების საცეცხლე და დამკვრელი ძალა, მათი მანევრულობა. მათ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად და სხვა სახეობათა შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთმოქმედებით წარმატებით გადაწყვიტონ მოწინააღმდეგის განადგურების ამოცანები საბრძოლო მოქმედების სახმელეთო რაიონებში.

მრისხანე ძალად იქცა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. იგი ღირსეულად წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ზღვათა და ოკეანეთა სივრცეებზე და მრავალგზის ერთობ დამაჯერებლად დაუდასტურებია თავისი მზარდი საბრძოლო შესაძლებლობანი.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მაღალ ინტერნაციონალურ მოვალეობას. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე მოძმე ქვეყნების არმიებთან ერთიან საბრძოლო მწყობრში ისინი სიამღოდ უზრუნველყოფენ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროებას.

საბჭოთა მეომრებმა პარტიის საბრძოლო განაწესად აღიქვეს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ XXIV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი სიტყვები: „ყველაფერი, რაც ხალხს შეუქმნია, საამედოდ უნდა იყოს დაცული... და სანამ ჩვენ შფოთიან მსოფლიოში ვცხოვრობთ, ეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება".

ხალხთან და მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთიანი ფიქრებითა და პატრიოტული მისწრაფებით ცხოვრობენ ამ დღეებში ჩვენი სახელოვანი ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები. ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში მიმდინარეობს ბეჭითი და დაძაბული საბრძოლო სწავლება, სულ უფრო ფართოვდება შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

სასწავლო ცენტრებში, პოლიგონებსა და ტანკოდრომებზე, წვრთნისა და ტაქტიკური მეცადინეობის დროს ჩქეფს დაძაბული მხედრული ჯარისკაცური შრომა იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და გამარჯვების მოპოვების მეცნიერების დასაუფლებლად.

ამიერკავკასიელი მეომრები მუდამ მზად არიან პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძანებით მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრების დასაცავად — გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ აგრესორს.

ხალხი უმღერის
ვადიდო შენი სახელი

ამ ქვეყნად შენზე ძლიერი
არ მეგულება არავინ,
გული გაქვს ვეფხვისნიერი,
ბრძოლებში მოულალავი,
შენგან მრავალი გვინახავს
კლდეს შელეწილი აფთარი,
თვალისჩინივით გვინახავ,
ზაფხულია თუ ზამთარი.
ამ ლექსით როგორ გაკმარო,
გმერო, ქება და დიდება,
შენს სახელს ფიცავს
სამყარო
და შენი საქმის დიდებას.
შენს დროშას, დაბლა
დაუხრელს,
ბერლინის თავზე მიტანილს,
ელვით რომ ფლეთდი შავ
ლრუბელს,
იყავი და ხარ ტატანი.
სიმღერით მინდა დაგლოცო,
ვადიდო შენი სახელი,
მინდა შენ დროშას ვაკოცო,
მზით
ოქროსფუნჯებადაფრილს.

ვალიკო ხუცურაული.

ხურათზე: მოტოქვეითი ჯარი წვრთნაზე. საკ.ფისის ფოტოქრონიკა.

სიმაღლე

სამხედრო სამსახური გამორჩეული, დიდებული სიმაღლეა ჩვენი ცხოვრების გზაზე. ამ სიმაღლის აღება უბრალო რამე არ არის. სიძნელეთა განზრახ გაზვიადება რა საკადრისია. მილიონებს დაუსამტრავთ ეს სიმაღლე და ყველას კარგად მოეხსენება მისი რთობა.

მილიონებს გადაუვლიათ ამ სიმაღლეზე. მაგრამ მენი ბილიკი შენ გეკუთვნის. სამშობლო ელოდება — იქ შენ უნდა გაიარო. ეს სჭირდება შენს მიწაწყალს და გჭირდება შენც!

არმიული სიმაღლის ძლევა სულიერი და ფიზიკური ძალების მთელ მობილიზებას მოითხოვს. იხარჯება კოლოსალური ენერგია. მაგრამ მაინც საოცრებაა! რაც უფრო მეტია ოფლის ღვარი, დაძაბულობა, სანაცვლოდ უფრო დიდი მხნეობის მოზღვავება. და თვალნათლივ ხედავ, რომ აქამდე ყველაფერი არ იცოდი საკუთარი შინაგანი ძალების შესახებ. რაოდენი შესაძლებლობანი ჰქონია ადამიანს. თურმე სადამდე გასწვდება. რამდენი რამისთვის არის საკმარისი.

სულ სხვაგვარია არმიული ცხოვრების დღეები და ღამეები. ისინი ყველაზე საუკეთესო წიგნივით იკინძება გონებაში. სულ გახსოვს გზები, რომლებზეც დიდი ლაშქრობით გაგვივლია. პაპანაქება სიცხეში ჩრდილი ბევრჯერ მოგვნატრებია. როგორ გინდოდა ერთი ჭიქა წყალი! მაგრამ მწყობრი მიდის. შენ თითქოს მოხოლიერად ხარ შეზრდილი ამ მწყობრს. არ შეიძლება გამოეყო. უნდა იცოდე, უნდა ისწავლო თავშეკავება. გაძლება ძვირფასი თვისებაა! იგი აფოლადებს ნებისყოფას.

ლაშქრობის მტვერსაც აქვს თავისი დაუვიწყარი სურნელობა. მტვერი და სურნელობა?! მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე რომ იცოდე სუფთა ჰაერის ფასი, სწორედაც საჭიროა სიჭაბუკეში ისუნთქო მტვრიანი ჰაერი, კბილებში გაკრაჭუნო ქვიშა. დაიძაბო. შეეგუო. სასეირნოდ ხომ არა ხარ! ლაშქარს ეკუთვნი. სამშობლო შენს იმედად არის. შენი მსგავსნი მილიონობით არიან. მაგრამ მილიონი ერთეულებისაგან შედგება. სამშობლოს დაცვისათვის კი ზედმეტი არავინ არის! ყველას თავისი ადგილი აქვს მინნეული, ხოლო თუ არმიას უსარმაზარ ცოცხალ ჯაჭვს შევადარებთ, იქ შენი რგოლიც მაგარი უნდა იყოს. გაუტეხელი, გაუდუნავი. ყველაფერში ვამძლე, უღალატო.

ღია ცის ქვეშ გათეული ღამეები. მშობლიური მიწა. მას უშუალოდ ეხები და გრძნობ, რაოდენ აუცილებელია ეს. ველზე ცხოვრება უნდა იცოდე და გესმოდეს. გარეთ გათეული ღამეები ყველაზე უკეთ ამახსოვრდება ადამიანს. იგი რაღაც შეუცვლელით ავსებს შენს სულსა და გულს. უხერხულობა, ზოგჯერ გაჭირვებაც დროებითია, წარმავალი. იგი ისევე სწრაფად გაივლის, როგორც ფეხის ან მხრის დაბუჟება... სამაგიეროდ რჩება ხსოვნა, დაწმენდილი, კრისტალური, დაუღალავი. მერე განსაცდელი ხსოვნაში არაერთხელ აუხეთქა, გაგათბობს, დაგაკმაყოფილებს. სიამაყით აგავსებს, რომ შენც გქონდა უძნელი ღამეები, შენც გეძინა გარეთ, პირდაპირ მიწაზე და არავისგან ელოდებოდი მიფერებას. დიდ და შობლიურ ლაშქარში ფრთხილობდი, მეცადინეობდი, რომ სხვას არ ჩამორჩენოდი, ამოწმებდი შენს დამოუკიდებლობას.

ამ შემოწმების დროს არაერთხელ განცდიფრებულხარ. რამდენი შეეძლებია! რა დიდი ყოფილა ადამიანი, თქმა ალარ უნდა, იგი შენი ძმაა და მეგობარი.

ერთხელ არმიელი მეგობარი მესტუმრა. ჩემი მისამართი ზუსტად აღარ იცოდა და ჩემს თანასოფლელებს ეკითხებოდა, თუ სად ვცხოვრობდი. კითხვისაც ეთქვა, ჩვენ ერთ ასეულში ვიყავითო, ხელს ართმევდნენ, როგორც შინაურს და ახლობელს. ჩემამდე შეიმეთ მოაცილეს. ეს ყველასათვის ნაცნობი, ამასთან ერთად ყველასათვის განსაკუთრებით ძვირფასი გრძნობაა.

სტუმარმა მეგობარმა ჩემი თანასოფლელების თანადასწრებით მრავალი ეპიზოდი გაიხსენა ჩვენი ერთობლივი საბრძოლო ცხოვრებიდან. მე გამიკვირდა! რა ცოცხლად, რა უშუალობით შემოუნახავს ყოველი წვრილმანი მეგობრის მეხსიერებას! დიდი ყოფილა ღამე! საერთოდ რამდენი ძვირფასი დროა ადამიანის განკარგულებაში. ამის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე სულ სხვაგვარად უწევ ანგარიშს დროს. დრო — ოქროზე ძვირფასი! დრო — შეფოქმედი! დრო — სიცოცხლის ფასი!

არმია სკოლაა. არმია ადამიანობის უნივერსიტეტია. არა მარტო მტვრიანი ლაშქრობა და ღია ცის ქვეშ ღამის თევა. არა მარტო ზუსტად სროლა, რბენა და ათასი რამ, რაც აწრთობს, აკაქელებს ადამიანს! ერთ-ერთი მთავარი და უაღრესად საინტერესოა ადამიანთა ურთიერთობა. ვისთანაც ყველაფერი ხელასლად განვიცადე. ვკლავ და კვლავ დავრწმუნდი, რა ძვირფასი მეგობარი ყოფილა ამ ქვეყანაზე ჩემი თანაფრონტელის სახით...

— გახსოს!.. — დაიწყებდა იგი და იღვიძებდა, ეხეთბოდა, გიზგიზებდა ფრონტული ამბავი, რომელიც კიდევ ჰკვადა ათასობით სხვა ამბებს და ბევრითაც განსხვავდებოდა.

ვისაც ახლა ჯარისკაცული ფარაჯა აცვია, ის ოშს დაშორებულია. იგი გადმოცემებით, წიგნებით, კინოსურათებით იცნობს ომს. ასეთი ახალგაზდა ჯარისკაცის ვეფრდით ვყოფილ-ვარ კინოში. მინახავს როგორ აცრემლებულა ჯეუხი ჭაბუკი, როცა ომის სცენიანი კადრი უჩვენებიათ. დასამალი რაა, მეც გადამიყლაპავს ცრემლი... მაგრამ სიხარული ალბათ ალარ იცოდა და ჩემს თანასოფლელებს ეკითხებოდა, თუ სად ვცხოვრობდი. კითხვისაც ეთქვა, ჩვენ ერთ ასეულში ვიყავითო, ხელს ართმევდნენ, როგორც შინაურს და ახლობელს. ჩემამდე შეიმეთ მოაცილეს. ეს ყველასათვის ნაცნობი, ამასთან ერთად ყველასათვის განსაკუთრებით ძვირფასი გრძნობაა.

სტუმარმა მეგობარმა ჩემი თანასოფლელების თანადასწრებით მრავალი ეპიზოდი გაიხსენა ჩვენი ერთობლივი საბრძოლო ცხოვრებიდან. მე გამიკვირდა! რა ცოცხლად, რა უშუალობით შემოუნახავს ყოველი წვრილმანი მეგობრის მეხსიერებას! ყველაფერი ხელასლად განვიცადე. ვკლავ და კვლავ დავრწმუნდი, რა ძვირფასი მეგობარი ყოფილა ამ ქვეყანაზე ჩემი თანაფრონტელის სახით...

— გახსოს!.. — დაიწყებდა იგი და იღვიძებდა, ეხეთბოდა, გიზგიზებდა ფრონტული ამბავი, რომელიც კიდევ ჰკვადა ათასობით სხვა ამბებს და ბევრითაც განსხვავდებოდა.

ვისაც ახლა ჯარისკაცული ფარაჯა აცვია, ის ოშს დაშორებულია. იგი გადმოცემებით, წიგნებით, კინოსურათებით იცნობს ომს. ასეთი ახალგაზდა ჯარისკაცის ვეფრდით ვყოფილ-ვარ კინოში. მინახავს როგორ აცრემლებულა ჯეუხი ჭაბუკი, როცა ომის სცენიანი კადრი უჩვენებიათ. დასამალი რაა, მეც გადამიყლაპავს ცრემლი... მაგრამ სიხარული იმიტომ, რომ ჩვენს ჯარისკაცს ასე უშუალოდ ესმის ჩვენი წარსული ტკივილები. ისევე განიცდის იმ ბობოქარ დღეებს, როგორც ჩვენ, დიდი სამამულო ომის უშუალო მონაწილენი.

მედიცინა ალბათ თავის დროზე უფრო უკეთ და დასაბუთებულად ახსნის თაობათა ერძნობის ერთიანობას. იქნებ სწორედ ამ გრძნობას ჰქვია სიცოცხლის უკვდავება. ჩვენი თანატოლები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გმირულად დაეცნენ ამ სამი ათეული წლის წინათ. ბუნებრივია, მათს ნათელ და ძვირფას ხსოვნას გულით ვატარებთ ფრონტელი მეგობრები. და რაც დრო გადის, დიდი უკვდავების თაყვანისმცემელთა რიცხვი იზრდება. მხარში ამოგვიდგნენ თაობები. მათთვის სულ ერთი როდია ოცდაათი წლის წინათ თავგანწირული თანამებრძოლი. კარგად, რა კარგად ეამით ყველაფერი!

და ეს, სწორედ ეს არის მთავარი! ჩვენი სამართლიანი საქმის სიდიადე! ძნელად მოპოვებული ისტორიული გამარჯვების შესანიშნავი ნაყოფი.

ფარაჯიანი ჯარისკაცები ზოგჯერ როგორდაც ჰაეტარები გვეჩვენებიან. დაკავებულ, როგორები ვიყავით? თითქოს ქარი წაგვიღებდა! დედამიწაზე ავად ნილ ყველაზე ძლიერ გრიგალს კი ვიჩერებდით. მტრის ამბრაზურას მკერდით გადადობავდნენ. წელზე შემორტყმული ყუმბარებით ავაზაკების ტანკს ქვეშ უვარდებოდნენ. მიცურავდნენ ყინულოვან წყალში. ზვიდან ტყვია აწვიმდათ, მაინც რა არის სამშობლოს გრძნობა! არა? ამას ვერაფერი ვერ შეედრება. იგი უპირველესია! იგი ყველაზე უმაღლესია!

ამ გრძნობის სრულად აღწერა ან ჩვენება, თხრობა ვის შეუძლია! იგი რთულია, როგორც თვით ადამიანი. იგი აუხსნელია. მისი მხოლოდ განცდა შეიძლება.

რა გრძნობა იყო ეს! ხშირად სრულიად უსახელო ადგილზე ჩვენი მებრძოლი მარტო რჩებოდა. მარტო, მტრის პირდაპირ! მაგრამ იგი არ იპარებოდა, არც ნებდებოდა. იგი თვალებში ამაყად უმზერდა ამკარა სიკვდილს. უკანასკნელ შესაძლებლობამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდა მტერს... იგი არ ფიქრობდა სახელსა და დიდებაზე. მას მხოლოდ სამშობლოსადმი მოვალეობა ახსოვდა და მოქმედებდა ამის კარნახით.

მხოლოდ მათს უკვდავებაზე ღაადი? ლოცვა? არა! მარტო ეს არა! ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ მარტო ეს არა! მათ ჩაიბარეს წინაპართა საქმე, თავიანთი ტოლი წინაპრების მიერ გადარჩენილი, დახსნილი, დაცული უმთავრესი საქმე, მხარი შეუდგეს! ახლა თავიანთ თავზე აიღეს ყველაფერი...

გიხარია, როცა უყურებ ამ უწყვეტობას, ერთიანობას, ვანუყოფლობას. ეს სამართლიანი საქმის ზეიმია. ან დღესაც ვდღესასწაულობთ! ჩვენი საბჭოთა არმიის დიდ ზეიმს ვდღესასწაულობთ!

გვახსენდება ჩვენი არმიული წლეები. ჩვენი ფარაჯები და ჩექმები. ჩვენი ძნელი, ცეცხლოვანი კილომეტრები. რთული დღეები და ღამეები. ჩვენი ქვემეხები და შაშხანები... გვახსენდება... გვახსენდება... გვახსენდება...

დღევანდელი სინამდვილე კი უძლეველი ჩვენი არმიაა, შეუდარებელი ტრადიციების არმიაა. გამარჯვებათა არმია!

ერთი... ორი... მიდის ჯარისკაცი. იგი აგრძელებს მილიონთა დიდების გზას. ისიც აიღებს ნაცნობ, მშობლიურ სიმაღლეს. მიაბიჯეს ჯარისკაცი. მას მთელი ხალხის მადლობა, სიყვარული, ღიმილი მიაცილებს. მიაბიჯეს ჯარისკაცი. საბჭოთასადმი დიდი და წმიდა მოვალეობით შთაგონებული. მტკიცე, მგზნებარე, საიმედო!

ვლადიმერ გელაშვილი.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 22

1972 წ. 23 თებერვალი ქ. მოსკოვი

ამხანაგებო, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნეომრებო!

ამხანაგებო, არმიისა და ფლოტის თადარიგის და გადამდგარო ვეტერანებო!

დღეს ჩვენი სამშობლო ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი ამ დღესასწაულს გულებიან კომუნისტური მშენებლობის ინ დიდებული გეგმების განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა. წარმატებით დამთავრდა მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. განუხრელად ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მეცნიერება და ტექნიკა. მაღლდება ხალხის ცხოვრების კეთილდღეობა და კულტურული დონე. იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა, არმიისა და ფლოტის მეომრებმა უდიდესი აღფრთოვანებით ერთსულოვნად მიიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ჩვენს ქვეყანაში ახალი ძალით გაიშალა მასობრივი, სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომელშიც იმპერიალიზმისადმი მტკიცე წინააღმდეგობა და რევოლუციური, განმთავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა მუდამ შეხამებულია სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსთან.

მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზაზე დიდნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი, რომელიც ამას წინათ ვაიმართა პრაღაში. საბჭოთა სახელმწიფოს და მომძმე სოციალისტური ქვეყნების აქტიური საგარეოპოლიტიკური საქმიანობა, მათი შეთანხმებული მოქმედება, რომლის მიზანია სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება და დაძაბულობის შენელება, სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარების შეცვლაზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სასარგებლოდ.

ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა სახელმწიფო ითვალისწინებს, რომ სამხედრო ავანტიურების მოშლრეგებს იარაღი არ დაუყრიათ. ამას მოწმობს იმპერიალისტთა განუწყვეტელი აგრესიული მოქმედება ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში, ევროპაშიც კვლავ მოქმედებენ რეაქციული ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან დაძაბულობის შენარჩუნებით და სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მეორისათვის დაპირისპირებით.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ვადიდებისათვის. სოციალისტური სამშობლოსადმი, თავიანთი ხალხისადმი უსაზღვრო ერთგული, კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა მეომრები საიმედოდ დგანან ჩვენი დიადი სამშობლოს ინტერესების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის სადარაჯოზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგებო, არმიისა და ფლოტის თადარიგის და გადამდგარო ვეტერანებო!

მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავს.

შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას ვუსურვებ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

არმიისა და ფლოტის მეომრებო! სათუთად დაიცავით და გაამრავლეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები, განამტკიცეთ საბრძოლო თანამეგობრობა მომძმე სოციალისტური ქვეყნების მეომრებთან, სრულყავით საველე, საზღვაო და საჰაერო გაწვრთნილობა. ბეჯითად დაეუფლეთ თქვენთვის მოცემულ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ დისციპლინა და ორგანიზებულობა, ფხიზლად და მუდამ მზად იყავით ყოველგვარი აგრესიის მოგერიებისათვის.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავის აღსანიშნავად მბრძანებს:

დღეს, 23 თებერვალს, 20 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს სადღესასწაულო ფეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ლენინური გზით მიუძღვის კომუნიზმისაკენ ჩვენს ხალხს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

ნოველა

ბროწეული

უწყინარი ოჯახური საქმით გართული. მყუდრო სამზარეულოში მაგიდას მისჯდომია. მუშტისოდენა ბროწეული გაუხლიჩავს, დაუმარცვლავს, საწურში ჩაუყრია. პაწია შვილიშვილს უწურავს. ჩქეფად იღვრება საწურის ცხაურიდან ფაიფურის ჭალთა ჯამში ალისფერი წვენი. ერთხელ კიდევ შემოუჭერს საწურის სახელურს ისე, რომ ზედ ჯამზე იხრება კიდეც. სწორედ ამ დროს ბროწეულის ჩენჩოს ქვეშ დაფენილი გაზეთის კუთხისკენ უნებლიეთ თვალი ეპარება და ამოიკითხავს მსხვილ სათაურს — „ფეხსაცმლის გიგანტი". თან ბროწეულს წურავს, თანაც ინფორმაციას კითხულობს — რომ ამა და ამ ქალაქთან, მთელ ას ჰექტარ ტერიტორიაზე გადაჭიმულა ფეხსაცმლის უზარმაზარი კომბინატი; რომ მის პროდუქციას უკვე იცნობს მსოფლიოს ოთხმოცი ქვეყანა; რომ იგი წუთში ხუთას წყვილ ფეხსაცმელს უშვებს... ფეხსაცმელს!

სკამის საზურგეს მიყრდნობია, თვალი მიულულავს.

— ბაბუა, ბაბუ, ჰა, ბაბუ, შენ გძინავს, ბაბუა!.. — ეტიტინება ოთხიოდე წლის ბიჭუნა.

„არა!" — უნდა ბურანში წასულ ბაბუას ამოოძახოს, მაგრამ ძალა არ მოსდევს, მიბნედილი გონების თვალწინ გაუელვებს იმ შორეული ქალაქის ნანგრევები, იმ გაზაფხულის მძაფრი შეტევის დღეები, ნაღმებისა და ჭურვების ზაოქი, ჰაერში შადრევნებად ავარდნილი მიწა და მას აყოლილი... ფეხებიანი ჩექმები... იმ ქალაქთან, იმ ტერიტორიაზე, ახლა გაზეთი მშვიდად რომ იხსენიებს...

როდის-როდის გონს მოსული, თვალს ავლებს სამზარეულოს, გაფაციცებით მოიძიებს შვილიშვილს. ის კი იქვე დგას, ბაბუას მუხლებს იდაყვით დაყრდნობილი შესცივინებს ბაბუას და არ იცის რა თქვას. ბაბუა ჰიქაში ასხამს წვენს და ასმევს შვილიშვილს: „ჰა, შესვი, დალიე, ბაბუა გენაცვალოს!" ბიჭუნა ხვრეპს, სიამოვნებით აწყლაპუნებს ტუჩებს და ვარდისფერ ხელებს უცაცუნებს საყვარელ ბაბუას მუხლებზე.

ბაბუას სიცოცხლესავით უტკბილდება შვილიშვილის პაწია ხელების ცაცუნი, თითქოს ის შვილიშვილი უსხეულო სიცარიელეს მუხლებსა და მიწას შუა.

ვლადიმერ თორდუა.

კინოფესტივალი სტარტს იღებს

კინოფესტივალის აფიშა

(მხატვრული ფილმები)

23 თებერვალი, ოთხშაბათი

10.00 — „წუთიერი დუმილი“ (ვორკის სახელობის სტუდია)
12.00 — „პატარა ალსარება“ (ლენინის სტუდია)
16.00 — „რძალი“ („თურქმენფილმი“)
18.00 — „წუთისოფელი“ („ქართული ფილმი“)

24 თებერვალი, ხუთშაბათი

10.00 — „ისიკ კულის წითელი ყაყაჩოები“ („ყირგიზფილმი“)
12.00 — „მამილო“ („ბელორუსფილმი“)
17.00 — „თადარიგის ოფიცერი“ („მოლდოვა ფილმი“)

25 თებერვალი, პარასკევი

10.00 — „ხათაბალა“ („სომხფილმი“)
12.00 — „სიყვარულის დრამა“ („უზბეკფილმი“)
16.00 — „უკანასკნელი რელეკვია“ („ტალინფილმი“)
18.00 — „ზახარ ბერკუტი“ (დოვჟენკოს სახელობის სტუდია)

26 თებერვალი, შაბათი

10.00 — „ყიზ-ყიბეკი“ („კაზაფილმი“)
16.00 — „ლურჯი ცა“ (ოდესის კინოსტუდიის ნაწარმოები)
18.00 — „მომთაბარე ფრონტი“ (სვერდლოვსკის კინოსტუდიის ნაწარმოები)

27 თებერვალი, კვირა

10.00 — „ო, ეს ნასტია“ (მ. გორკის სახელობის სტუდია)
12.00 — „უკანასკნელი მარცხი“ („აზერბაიჯანფილმი“)
16.00 — „12 სკამი“ („მოსფილმი“)

28 თებერვალი, ორშაბათი

10.00 — „რუსტანი და ზუბრობი“ („ტაჯიკფილმი“)
12.00 — „ფარვანას ცეკვა“ (რიგის კინოსტუდია)
16.00 — „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის“ („ქართული ფილმი“)

სურათზე: კადრები ფილმებიდან „მომთაბარე ფრონტი“ და „პირველი კლასის პილოტი“.

ლაპარაკობენ სტუმრები

ლ. ბადალბეილი,
აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ჯერ კიდევ 16 წლის ვიყავი როცა ბაქოს კინოსტუდიამ გადაიღო ფილმი „აინა“, რომელშიც მიც ვმონაწილეობდი. მახსოვს ჩვენთან კონსულტანტად ცნობილი ქართველი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი მოიწვიეს. ამ დიდი შემოქმედისაგან ბევრი რამ ვისწავლე.

შემდეგ ომის წლებში ქართველი მეგობრები დიდ დახმარებას გვიწევდნენ. თბილისის კინოსტუდიის პავილიონებში ბაქოს კინომუშაკებმა არაერთი ეპიზოდი გადაიღეს თავიანთი ფილმებისათვის. არასოდეს არ დავივიწყებდა ქართველი კოლეგების ძმური დამოკიდებულება და სითბო.

აი დღეს ამ სტუმართმოყვარე ქალაქში, იმართება კინოფესტივალი. წილად მხვდა დიდი პატივი ისევ ჩემი ქართველი მეგობრების სტუმარი ვიყო. მჯერა, რომ წარმატებით ჩატარდება საბჭოთა კინოს დიდი ფორუმი ქართულ მიწაზე.

ტ. ტურსუნბაევა,
უზბეკი კინომსახიობი

„ქართული ფილმის“ მაღალმა ავტორიტეტმა განსაზღვრა, რომ თბილისი ამ დიდი კინოფესტივალის დროებითი სატასტო ყოფილიყო.

ასეთი მაღალი დონის კინემატოგრაფიული შეხვედრები საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ საბჭოთა კინოს განვითარების, მხატვრული ღაოსტატების ყოველდღიურ მაჯისცემას.

თბილისში პირველად ვარ, უკვე მოვასწარი ბევრი რამის ნახვა. კონკურსზე წარდგენილია ჩვენი ფილმი „სიყვარულის დრამა“, სადაც მთავარ როლს ვასრულებ. მდელვარებით ველოდები ქართველი მაყურებლის შეფასებას.

ასტშმრო „ივერიის“ კონფერენციდარბაზში მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის გახსნის დღეს გაიმართა კინოფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილი პირველი პრეს-კონფერენცია.

პრეს-კონფერენციაზე მოიწვიეს ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების, სრულიად საკავშირო რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტები, რესპუბლიკური პრესის რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, აგრეთვე ფესტივალის სტუმრები — საბჭოთა კინემატოგრაფიის ცნობილი შემოქმედებითი მუშაკები, თბილისის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის კინოფიკაციისა და კინოგამოყენების სამმართველოს საინფორმაციო ბიუროს დირექტორმა. მეხუთე კინოფესტივალის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ი. ალექსანდროვმა.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. რომანოვი.

ეს ფესტივალი, თქვა მან, დიდ როლს შეასრულებს მთელი საბჭოთა ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. იგი იქნება საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობა თავისებური ანგარიში მუშაობისა, რომელიც გასწეს გასულ წელს, სკკპ XXIV ყრილობის წელს, რომელმაც ახალი, მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის მთელ შემოქმედებით ძალებს, მათ შორის კინემატოგრაფსაც. განვლილი წლის მანძილზე შეიქმნა ახალი ფილმები ჩვენი თანამედროვეების ცხოვრების შესახებ, იმ დიდი აღმშენებლობის შესახებ, რომლითაც სუნთქავს მთელი ჩვენი ქვეყანა.

წელს ჩვენი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ეს ფრიად ღირსშესანიშნავი თარიღია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და, ვაჯამებთ რა ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი გზის შედეგებს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა კინომ. ალბათ, მის უდიდეს მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ აღიზარდნენ კინემატოგრაფისტთა ეროვნული კადრები, რომ მხატვრული ფილმების 50 პროცენტზე მეტი, სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების 66 პროცენტი ქვეყნის საერთო კინოპროდუქციიდან მოდის ეროვნულ რესპუბლიკათა კინემატოგრაფზე. კინემატოგრაფის თვალსაზრისით ისეთ განვითარებულ ქვეყნებსაც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, შურთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველ ეროვნულ რესპუბლიკაში მუშაობენ ტექნიკის უკანასკნელი სტაჟით აღჭურვილი კინოსტუდიები, რომლებიც ყოველწლიურად მრავალფეროვან პროდუქციას იძლევიან. როგორც ჩანს, მომავ რესპუბლიკებში გადაღებული ფილმების ეს მრავალფეროვნება, ეს ეროვნული თავისთავადობა განაპირობებს სწორედ იმ შეუნელებელ ინტერესს, რომელიც სულ უფრო მეტად იჩრდნობა საბჭოთა კინოს მიმართ.

დღეს მსოფლიოს 104 ქვეყანაა უჩვენებს საბჭოთა ფილმებს. და, ალბათ, არ არის ქვეყანა, სადაც არ მიაჩნდეთ, რომ საბჭოთა კინემატოგრაფი აღმავლობის გზაზეა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. გოლოვნიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. ახლა თბილისში, თქვა მან, ჩამოსულია 300 კაცი ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან. ბევრი ჯერ კიდევ გზაშია. უკვე ჩამოვიდნენ პოლონელი, ბულგარელ, უნგრელ, იუგოსლავ კინემატოგრაფისტთა დელეგაციები. დღეს ველით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის დელეგაციებს.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ა. ზარურდი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ს. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მეხუთე სრულიად საკავშირო ფესტივალის გენერალური დირექტორი შ. სარალიძე.

ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ქვეყნის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციამ დააწესა პრიზები საკონკურსო ფილმების, მათი შემოქმედებისა და მსახიობების დასაჯილდოებლად. აგრეთვე ის, რომ თ. ანდრიაძის ფილმი „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის“ (კინოსტუდია „ქართული ფილმი“) შეტანილია საკონკურსო ფილმებში. 1970 წელს გადაღებული საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ფილმის „კიბერნეტიკა მედიცინაში“ ნაკლოვან, უჩვენებენ 1971 წელს გადაღებულ ფილმს „ოქროს საწმისი“.

პრეს-კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე ა. კამშალოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ბედნიერიშვილი.

მაშ ასე, კინოფესტივალმა სტარტი აიღო. წინ არის საინტერესო ამაღელვებელი შეხვედრები. (საქმესა).

ეკრანი — ცხოვრების სარკე

ახალი ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში, პარტიის დიად საქმეთა განხორციელებაში, შრომისა და თავდადებისადმი სწორი პოზიციის განმტკიცებაში უდიდესი როლი და მოვალეობა ეკისრება ხელოვნებას, მის ცალკეულ დარგებს.

დიდია ხელოვნების ძალა და მისი ემოციური კავშირი ხალხთა მასებთან. წარმოუდგენელია ადამიანთა მისწრაფება, სიხარული, ფიქრი ხელოვნების გარეშე, კაცი და მუსიკა, სიმღერა, ფერწერა დიდი ხნის მეგობრები არიან, ხოლო მეგობრობა ეს ძნელბედობის ჟამს დახმარებას ნიშნავს, სიხარულში სილაღესა და მხიარულებას.

ადამიანის ყველა შეხვედრა მშვენიერებასთან, წარმტაცი ან, მუსიკასთან, თეატრთან, კინოსთან, მის სულს უფრო ანატაფებს, უღვივებს და ულრმავებს ადამიანურ, ჰუმანურ დამოკიდებულებას სამყაროსა და მოვლენებისადმი. ხელოვნება ეხმარება ხალხს არა მარტო გათვითცნობიერებაში, არამედ საკუთარი მრწამსის ჩამოყალიბებასა და გარკვევაში.

ჩვენ არაერთხელ წაგვიკითხავს კინოთეატრების სტენდებზე ლენინის ნათქვამი: „ხელოვნების ყველა დარგებიდან, ჩემის აზრით, მთავარია კინო“. ამ ფრთიან ნათქვამზე დღეს შეიძლება ითქვას, რომ უკვე თაობები გაიზარდა.

ჩვენი გეგმებისა და გადაწყვეტილებების სიდიადე, მომავლის გრანდიოზულობა და მასშტაბები, ახალი ადამიანის სულის, მისი მისწრაფებების სწორი ასახვა — აი რა საკითხები დგას საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე.

მსოფლიოს ორმა ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეოლოგიამ თავისთავად განსაზღვრა კინოს განვითარებისა და მიმართულებების ხასიათი. ერთმანეთისაგან განსხვავებულმა მსოფლმხედველობამ განაპირობა მსოფლიო კინოხელოვნების ნაწარმოებთა დათვალიერების აუცილებლობაც, ამან კი თავისთავად უყურადღების ცენტრში მოაქცია ჩვენი სამამულო კინემატოგრაფიის მიღწევათა ჩვენებაც. ახალი ფესტივალიც, მეხუთე საკავშირო კინოფესტივალი მიზნად ისახავს ეკრანზე გამოშვებული ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, კინოხელოვანთა შემოქმედებითი შეჯიბრების სტიმულირებას, მაყურებელთა ყურადღების მიპყრობას სამამულო კინემატოგრაფიის საუკეთესო ნაწარმოებებისადმი. ამასთან ერთად თბილისის V საკავშირო კინოფესტივალი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას ანიჭებს პარტია კინოხელოვნების როლს მასების იდეოლოგიური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კინემატოგრაფიას გააჩნია თავისი თვითმყოფადი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული სახე, ამასთან ერთად იგი მრავალეროვნულია და ამიტომ თავისი სპეციფიკით ატარებს იმ რესპუბლიკების ეროვნულ ხასიათს, სადაც მათ ქმნიან. ამ მხრივ ეროვნულ კინემატოგრაფს კიდევ ერთი მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი აქვს — ასახოს ძვრები, რაც ერების ცხოვრებაში ოქტომბერმა მოახდინა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რა თქმა უნდა, იმ რესპუბლიკების კინოხელოვანთა ნაწარმოებები, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამდე საერთოდ არ გააჩნდათ კინემატოგრაფი. დღეს სიამაყით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კინოს არაერთმა წარმომადგენელმა მიიპყრო მსოფლიოს მაყურებელთა და სპეციალისტთა ყურადღება და არაერთ საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებასაც მიაღწია.

საბჭოთა კინოს, ისე როგორც მთელ ჩვენს ხელოვნებას, დიდი და სერიოზული მისია ეკისრება — მთელი სისრულითა ასახოს საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, მოვლენებითა და ფაქტებით მდიდარი ჩვენი სინამდვილე.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით რთულ პირობებში უფრო მკაფიოდ ჩანს ადამიანის ხასიათი, მაგრამ ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც არის ნიჭიერი კაცის თვალისთვის დასანახი და გამოსარჩევი რაც გმირის სახის გამოძერწვისათვის ესაჭიროება ხელოვანს.

საბჭოთა კინემატოგრაფი სიმართლით ასახავს ჩვენს ცხოვრებას, მის დადებითს მხარეებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეკრანის დანშნულება მხოლოდ დადებითი მოვლენებისათვის გამოყენებაა, უარყოფითი თვისებების გადალახვას, ადამიანის მორალური სიწმინდის საწინააღმდეგო მოვლენათა დაძლევას დღეს დიდი ყურადღება ეთმობა. ჩვენს კინემატოგრაფიასაც თავისი სიტყვის თქმა მოუწევს ამ მხრივ, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის გზაზე კინოხელოვნებას დიდი და სერიოზული ვალდებულება ეკისრება.

...და მაინც მთავარი თემა, თემა, რომელიც მუდამ იქნება მაყურებლის ყურადღების ცენტრში, არის თანამედროვეობის, ახლის შენების ამსახველი. ჩვენი კინოხელოვნების მიღწევები, მისი არსებობის მთელ მანძილზე დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოების წინსვლასთან.

თბილისის V საკავშირო კინოფესტივალი, ისე როგორც მისი წინამორბედები მხოლოდ კინოფილმების ჩვენებით არ ამოიწურება. მისი ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია კინოხელოვნების წარმომადგენელთა, — რეჟისორების, ოპერატორების, მსახიობების, კომპოზიტორების, მაყურებლების შეხვედრები, აზრთა ურთიერთგაზიარება, სჯა-ბაასი და დისკუსიები, ფესტივალი ამ მხრივ ბევრ საზრდოს მიხცემს მონაწილეებს.

რა თქმა უნდა, წინასწარ რაიმეს თქმა რთული საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, წინა საკავშირო კინოფესტივალების გამოცდილება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქაც, მომდინარე კინოფესტივალზე წარმოდგენილი ბევრი ფილმი ადვილად იპოვნის გზას მაყურებლის გულისაკენ.

ფესტივალის ავტორიტეტული ჟიური, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა კინოს გამოჩენილი მოღვაწენი შედიან, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს გამოარჩევს და აღნიშნავს. ეს იქნება ფილმები, რომელთა იდეურ-მხატვრული დონე თანამედროვე, კულტურული მაყურებლისა და კინომცოდნის გაზრდილ მოთხოვნათა სიმაღლეზე აღმოჩნდება.

მაშ ასე, კეთილი იყოს შენი მოსვლა, ფესტივალო!

გ. დოლიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

სურათზე: კადრი ქართული მხატვრული ფილმიდან „ყელსაბამი ჩემი სატრფოსათვის“.

ვ. მატაბელი



გარდაიცალა საქართველოს სსრ ხელოვნების ღვაწლმოსილი მოღვაწე ვ. მატაბელი.

ვ. მატაბელი დაიბადა 1894 წელს ხიღნადის მაზრის სოფელ ჯუკანაში. თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტში, 1919 წელს კი გადმოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1923 წელს დაინიშნა სოფელ ქვემო მაჩხაანის საექიმო უბნის გამგედ. ასალგაზრდა ექიმი მთელი თავისი ცოდნით, მთელი ენერგიით შეუდგა მკურნალის საპატიო მოვალეობის შესრულებას.

იმ ხანად მალარია მძვინვარებდა. ვ. მატაბელის ინიციატივით დაბა წნორში გაიხსნა ტროპიკული სადგური. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე კიდევ ერთი საშინელი ტროპიკული დაავადების ალა-აზარის აღგილზე დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1930 წელს ვ. მატაბელი გადმოყვანილ იქნა თბილისში ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, 1938 წელს კი არჩეულ იქნა ასისტენტად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა ევაკოჰოსპიტალის უფროსის მოადგილედ და სამედიცინო ნაწილის უფროსად.

1945 წლიდან იგი კვლავ სიღნაღის რაიონში მუშაობდა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ვ. მატაბელის ხელმძღვანელობით წარმატებით დასრულდა დაწყებული საქმე — 1958 წლისათვის რიგორც მალარია, ისე ალა-აზარი რაიონში ლიკვიდირებულ იქნა.

ვ. მატაბელი იყო მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორი, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ, სანიტარულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მთავრობამ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით აღნიშნა მისი ხანგრძლივი სამედიცინო მოღვაწეობა, 1946 წელს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

გულისხმიერი, მაღალკვალიფიციური მკურნალის, უმწიკვლო მოქალაქის ვ. მატაბელის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც ერთხელ მაინც შესვედრია ამ შესანიშნავ ადამიანს.

ამხანაგების ჯგუფი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 60 წლისთავი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება.

პროფ. ბორის ყურაშვილი.

დ. შანიძემ 30 კილოგრამით გაუსწრო...

ორი დღე გრძელდებოდა პარიზში მსოფლიოს გამოჩენილ შტანგისტთა საერთაშორისო ტურნირი — ჟან დამის მემორიალი. სხვებთან ერთად ფიცარნაგზე გამოდიოდნენ საბჭოთა ათლეტები, რომლებსაც სათავეში ედგა მსოფლიოში ყველაზე ლონიერი ადამიანი ვ. ალექსეევი.

მაღალ შედეგს მიაღწია ჩვენმა თანამემამულემ დ. შანიძემ (მსუბუქი წონა). იგი ერთი თავით მაღლა იდგა ამ წონის წარმომადგენელთა შორის, უახლოეს მეტოქეს ფრანგ ლეგის 30 კილოგრამით გაუსწრო. სამჭიდრო დ. შანიძემ აჩვენა 407,5 კილოგრამი — აპიმა 180 კილოგრამი, აიტაცა 122,5 კილოგრამი და აკრა 155 კილოგრამი.

საერთო ყურადღებას იპყრობდა ორი გიგანტის — მეორე მძიმე წონის შტანგისტების ვ. ალექსეევისა და ბელგიელი ს. რედინგის დუელი. ვ. ალექსეევმა სამჭიდში 595 კილოგრამი შეაგროვა, ს. რედინგმა — 585 კილოგრამი. აი მეტოქეთა შედეგები ცალკეულ მოძრაობებში: ვ. ალექსეევი — 215+160+220, ს. რედინგი — 200+165+220. ს. რედინგმა იერიში მიიტანა ვ. ალექსეევის რეკორდზე ატაცში, მაგრამ მან ვერ დაძლია 180,5 კილოგრამი.

მხოლოდ ქვემმძიმე წონის შტანგისტი რიგელი დ. რიგერტი გამოვიდა წარუმატებლად, მან დასაწყისში ვერ აპიმა 182,5 კილოგრამი.

საქართველო — აზერბაიჯანი 17.5:10.5

ახლოვდება მოჭადრაკეთა დიდი ფორუმის დღეები მოსკოვში. ახპარეზობისათვის ემზადებიან მოკაჟშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის მატჩი ბაქოში აზერბაიჯანის ნაკრებთან, რომელიც 19 და 20 თებერვალს გაიმართა, გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა. გუშინ ჩვენი მოჭადრაკეები თბილისში დაბრუნდნენ და 28 თებერვალს მოსკოვში გაემგზავრებიან.

მატჩი ბაქოში საინტერესო გამოდგა და დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკეთა გამარჯვებით 17.5:10.5. პირველი წრე ჩვენმა ნაკრებმა მოიგო 10,5:3,5 მეორე კი ყაიმით — 7:7 დაამთავრა. თვითეული გუნდი 14 მოჭადრაკით გამოდიოდა. მეტოქეები ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ.

აი წყვილთა შედეგები: ბაგიროვი-გურგენიძე 1,5:0,5, კუზმინი-გუფელდი 0,5:1,5, პავლენკო-ჯინჯიხაშვილი 0:2, მორგულევი-უბილავა 0,5:1,5, ეფიმენკოვი-ლომაია 0:2, ლისტენგარტენი-მიქაძე 0,5:1,5, სიეფერიფ-ზადე-გედეანიშვილი 1:1, სულეიმანოვი-ვეფხვიშვილი 2:0, ჯალილოვი-მაჭარაშვილი 0,5:1,5, ჰუსეინოვი-ზიაჩიკი 0,5:1,5, ზატულოვსკაია-ჯობაძე 1:1, სააკოვა-ხუციშვილი 1,5:0,5, ბარიშნიკოვა-კაკბარაძე 0:2, ალიევა-ფარეთელი 1:1.

სსრ კავშირის თასზე

გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების კიდევ სამი შეხვედრა ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზენიტი“ (პერმი) 4:1, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 2:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0.

ეს გუნდები, აგრეთვე დუშანბეს „პამირი“ და კიშინიოვის „ნისტრუ“ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს 25 თებერვალს. გამარჯვებულნი (ორ შეხვედრაში) გაივლენ თასის გათამაშების მომდევნო ეტაპში — მეთექვსმეტედფინალში.

სახელმწიფო ე-პროცენტიანი შიგნაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 45-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1972 წლის 15 თებერვალს ქალაქ დონეცკში.

მოგება ხვდა სესხის ოცდაოექვსმეტიგე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება ნეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება ნეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება ნეთობით
100116	50*)	500	107751	18*)	500	116903	1—50	40
100273	25*)	500	108014	34*)	500	117543	01*)	500
100391	11*)	500	108216	30*)	500	117613	03*)	5000
100941	28*)	500	109278	13*)	500	118118	24*)	500
101854	27*)	500	112465	18*)	500	118314	07*)	500
102231	18*)	500	113043	07*)	500	118679	04*)	500
102739	1—50	40	113360	26*)	500	119287	38*)	500
103315	12*)	2500	113383	40*)	500	119473	1—50	40
103971	13*)	500	113788	21*)	1000	119605	40*)	1000
104008	04*)	500	113967	1—50	100	119700	47*)	1000
104260	40*)	500	115484	1—50	40	120213	40*)	500
104459	09*)	500	116014	45*)	500	120289	1—50	40
105554	49*)	500	116415	39*)	500	122091	22*)	500
105810	1—50	100	116699	1—50	100	122107	42*)	500
106382	39*)	500	116838	1—50	40	122199	19*)	500
122284	18*)	500	139262	15*)	500	154150	33*)	1000
122663	26*)	500	139270	40*)	500	155064	02*)	500
124051	34*)	1000	140179	05*)	500	156231	06*)	500
124618	26*)	500	140237	32*)	500	156963	49*)	2500
125011	1—50	100	140480	30*)	500	157357	13*)	2500
125292	35*)	500	140591	17*)	500	157739	30*)	500
126224	06*)	500	140822	18*)	1000	157818	1—50	40
126440	1—50	40	141225	1—50	100	158027	40*)	500
128171	1—50	100	143143	12*)	1000	159209	1—50	40
128324	33*)	500	143592	39*)	500	159992	1—50	40
128422	27*)	500	143820	1—50	40	160058	33*)	1000
129310	26*)	500	145238	1—50	100	161231	08*)	500
129989	1—50	40	145314	05*)	500	162793	05*)	500
130275	13*)	500	146081	07*)	500	163259	08*)	500
131137	03*)	500	146269	1—50	40	164880	05*)	500
131558	02*)	1000	146955	1—50	100	164934	22*)	1000
131568	04*)	1000	147118	25*)	500	165887	1—50	40
131715	39*)	500	147147	33*)	1000	166139	1—50	40
132642	1—50	40	148025	35*)	500	166315	01*)	500
133349	16*)	500	148743	16*)	500	166870	42*)	1000
133682	1—50	40	149169	13*)	1000	167300	08*)	500
134447	34*)	1000	149177	01*)	500	167481	01*)	500
135217	1—50	40	149589	1—50	40	167690	23*)	500
135303	1—50	40	149879	02*)	500	168076	16*)	500
136741	39*)	500	151267	11*)	500	168090	1—50	100
137261	50*)	1000	152933	1—50	40	168598	1—50	40
137695	1—50	100	153140	03*)	500	169068	44*)	500
137982	29*)	500	153203	1—50	40	169070	14*)	500
138834	1—50	40	153257	14*)	1000	169896	1—50	40
139060	35*)	5000	153801	25*)	500	170012	1—50	40
			154058	49*)	500	170292	12*)	500
170839	1—50	100	179166	1—50	40	192536	50*)	500
170867	14*)	500	179933	1—50	40	192679	17*)	1000
171683	1—50	100	180736	37*)	500	192719	35*)	2500
172360	1—50	40	181777	1—50	40	193130	15*)	500
173082	1—50	100	181987	39*)	500	193262	49*)	500
173627	15*)	500	183139	09*)	500	193295	33*)	1000
173919	34*)	500	184266	36*)	500	193774	49*)	500
174259	29*)	500	184345	1—50	40	193975	03*)	500
175054	44*)	1000	185236	27*)	500	194406	29*)	500
175822	1—50	40	185969	08*)	500	196135	42*)	500
175861	1—50	100	186990	25*)	500	196986	10*)	2500
176121	1—50	100	187235	37*)	500	197403	32*)	500
176222	49*)	500	189720	23*)	500	197557	41*)	500
177212	20*)	500	189920	13*)	500	198760	1—50	40
177908	1—50	40	190495	1—50	40	199195	1—50	40
178062	1—50	40	190679	10*)	500	199620	39*)	500
178973	07*)	500	192002	38*)	500	199630	01*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თეთეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოქმანეთიანი ობლიგაციის მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი საბანკოები გახცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — დონეცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ი. ასეევი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ბ. ესინა

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

23 თებერვალი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი „ალ ფარაბი“, 11.15 — მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“, 12.40 — კინოპროგრამა 13.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველოს ნასვენარი საუკუნის მატიანე“. XII სერია. „წელი საიუბილეო“ (საქართველოს ტელევიზიის სტუდიის ნაწარმოები), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე“ (სტუდ